

ნიკუშა ანთაძე

სტუმარი

დილა. კაპოს ეღვიძება. პახმელიაზეა. ნახევრადმძინარე, ფეხშველი (აცვია მხოლოდ ტრუსები) მიდის ტუალეტისკენ. სახლში მის გარდა არავინაა. კაპო მარტო ცხოვრობს. ტუალეტში შედის, ფსამს. მერე ხელ-პირს იბანს, თან სარკეში იყურება. პირსახოცს იღებს, იმშრალებს, პირსახოცს თავის ადგილზე აბრუნებს და ტუალეტიდან გამოდის.

თავის ოთახში აპირებს დაბრუნებას, მაგრამ ამ დროს ისეთ ნივთებს შენიშნავს, რომლებიც ადრე არ იყო. აქეთ-იქეთ იყურება, ნივთებს ათვალიერებს.

(თანდათან ეუფლება ისეთი შეგრძნება, რომ თითქოს უცხო სახლში მოხვდა. მიუხედავად იმისა, რომ ოთახების განლაგება აშკარად იგივეა.)

დესაუდან ერთ-ერთ, ძველებურ ვაზას იღებს და აკვირდება. ამ დროს იღება მისი ოთახის კარი და გამოდის ტანზე პირსახოცშემოხვეული გოგონა. რამდენიმე წამი გაკვირვებული სახეებით უყურებენ ერთმანეთს, მერე გოგო კივის. კაპო იმდენად გაოცებული და დაბნეულია ვერ ხვდება რა უნდა ქნას. ვაზას ინსტიქტურად თავის ადგილზე აბრუნებს და გოგოსკენ გაიწევეს. გოგო კი მაშინვე ვაზას ავლებს ხელს და თავში ურტყამს. კაპო გონებას კარგავს და ეცემა.

გათიშულ კაპოს ხმები ჩაესმის.

ანუცა – ცოცხალია?

ბატონი ზაზა – მგონი სუნთქავს.

ანუცა – წყალი ხომ არ შევასხათ? იქნებ გამოფხიზლდეს?

კაპოს გარშემო პირსახოცშემოხვეული გოგო (ანუცა) და შუა ხნის კაცი (ბატონი ზაზა) დგანან.

ანუცა – საბანაოდ შესვლას ვაპირებდი. გული გამისკდა. თან ჩემკენ გამოიწია.

იქნებ ქურდია?

ბატონი ზაზა – ჩაცმულობის მიხედვით ქურდი არ უნდა იყოს. რავიცი,

ყოველშემთხვევაში მე ჯერ არ გამიგია ქურდები ტრუსიკებით

დარბოდნენ საყაჩაღოდ.

ანუცა – აბა ვინ არი?

ამ დროს კაპო თვალებს ახელს.

არავინ ხმას არ იღებს. კაპო გაკვირვებული ათვალიერებს უცნობ ადამიანებს. სიჩუმეს ბატონი ზაზა არღვევს.

ბატონი ზაზა – კარგად ხარ?

კაპო – არამიშავს.

კაპო თავზე იდებს ხელს, ნატკენ ადგილზე და ტკივილისგან სახე ეჭმუხნება.

კაპო – ვინ ხართ?

ბატონი ზაზა – ვინ ვართ? ეგ ჩვენ უნდა გკითხოთ. ძალიან საინტერესოა ჩემს

სახლში, იატაკზე, რატომ გდია ტიტველი კაცი?!

კაპო – ამ გოგომ რაღაც ჩამარტყა.

ბატონი ზაზა – ეს გოგო ჩემი შვილია. მე გეკითხები აქ როგორ

მოხვდი-მეთქი.

კაპო – ეხლა გავიღვიძე, აბაზანაში ვიყავი და რომ გამოვედი ეს გოგო

შემეჩხება.. და საერთოდ რას ქვია აქ როგორ მოხვდი?!

ბატონი ზაზა – სად გაიღვიძე? რა აბაზანაში?

ანუცას გადახედავს.

ბატონი ზაზა – მგონი ძალიან ძლიერად მოგივიდა ჩარტყმა.

კაპო – თქვენ ვინ ხართ?

ანუცა – მამა, მოდი პოლიციაში დავრეკოთ.

კაპო – მოიცა, ამიხსენით რა ხდება აქ?!

ბატონი ზაზა – რა ხდება და შენ ჩემს სახლში შემოიჭერი, თან არ გინდა

ამიხსნა რატომ და როგორ.

კაპო – ეს ჩემი სახლია. ორი წუთის წინ გავიღვიძე, ტუალეტში ვიყავი.

ანუცა (ზაზას გადახედავს და ჩუმად ჩაილაპარაკებს) – გიჟია.

კაპო – ეს კიდევ ჩემი ოთახია.

კაპო იმ ოთახში შედის, რომლიდანაც რამდენიმე წუთის წინ გამოვიდა. იგივე ოთახია, თუმცა სრულიად სხვანაირად არის მოწყობილი. დაბნეული კაპო ადგილზე შეშდება და ხან ერთ მხარეს იყურება, ხან მეორე მხარეს. ეტყობა რომ უკვე სერიოზულად ანერვიულდა.

კაპო – ვერ გავიგე რა ხდება. მძინავს?

კაპო თვალეებს ხუჭავს მაგრად, იმის იმედით, რომ როცა გაახელს ეს ხალხი აღარ იქნება, მაგრამ ახელს და მამა-შვილი ისევ მის წინ დგას.

ბატონი ზაზა – კარგი, დაწყნარდი. რაღაც გაუგებრობაა ალბათ.

კაპო – შეიძლება დავრეკო?

ბატონი ზაზა – დარეკე. ტელეფონი აქეთ არის.

ზაზა სასტუმრო ოთახისკენ მიუთითებს. კაპო მიდის, ყურმილს იღებს და რეკავს. ზაზა და ანუცა ცოტა უკან ჩამორჩებიან.

ბატონი ზაზა – ირინა სად არი?

ანუცა – ლუკის ვარჯიშიდან წამოსაყვანად გავიდა.

ბატონი ზაზა – ნახე აბა ერთი, კარი ღია ხომ არ დარჩა.

ანუცა – ვნახავ.

ანუცა შესამოწმებლად მიდის. ზაზა კაპოს უყურებს, რომელიც სადღაც დარეკვას ცდილობს. ანუცა ბრუნდება.

ანუცა – ხო, ღია იყო. რო გადიოდა მე დამიძახა მგონი კარი დაკეტეო, მაგრამ ნახევრად მეძინა და ვერ გავიგე. ეხლა გამახსენდა.

კაპო – ალო, ბიჭო, სანდრო... რა? ა, ბოდიში...

იმედგაცრუებული კაპო ყურმილს კიდებს.

ბატონი ზაზა – რა ხდება?

კაპო – ძლივს გავედი და.. სხვაგან მოხვდითო.

ბატონი ზაზა – აა. (ანუცას გადახედავს) შენ მიდი ჩაიცვი, ჩვენ ცოტას

ვილაპარაკებთ.

ანუცა კაპოს მკაცრ მზერას ამორებს და გადის. ბატონი ზაზა კაპოს უბრუნდება.

ბატონი ზაზა – დაჯექი.

კაპო ტახტზე ჯდება, ზაზა სავარძელში.

ბატონი ზაზა – რა გქვია?

კაპო – კაპო.

ბატონი ზაზა – კაპო?

კაპო – გიორგი, მაგრამ ყველა კაპოს მეძახის. გიორგი კაპანაძე.

ბატონი ზაზა – ძალიან კარგი... (მერე თავისთვის ჩაილაპარაკებს) ამ სადარბაზოში კაპანაძე მგონი არავინ არ ცხოვრობს, იქნებ გვერდით სახლში..

კაპო თავზე იღებს ხელს, თვალს ხუჭავს და ტახტის საზურგეს ეყუდება.

ბატონი ზაზა – თავი გტკივა?

კაპო – ხო, ისედაც პანმელიაზე ვიყავი და თან კიდევ ის ვაზა... ლუდი უნდა იყოს მაცივარში.

ბატონი ზაზა – არა, ლუდი არ არის. ჩვენთან არავინ არ სვამს.

კაპო ამოიოხრებს.

ბატონი ზაზა – წყალი ხომ არ გინდა?

კაპო – კი.

ბატონი ზაზა – ანუცა, მამი, კაპოს ერთი ჭიქა წყალი დაუსხი.

ანუცა – ეხლავე.

უკაცოფილო ხმით პასუხობს ანუცა და თავის ოთახიდან გამოდის. უკვე ჩაცმული.

ბატონი ზაზა – ესეიგი შენ ამბობ, რომ გაიღვიძე, შენს სახლში იყავი,

შეხვედი აბაზანაში, გამოხვედი და აქ აღმოჩნდი?

კაპო – ათი წუთის წინ გავიღვიძე...

ბატონი ზაზა აწყვეტინებს.

ბატონი ზაზა – ათი წუთის წინ რანაირად გაიღვიძე, თხუთმეტი წუთი მარტო

გათიშული იყავი.

შემოდის ანუცა, კაპოს ჭიქას აწვდის და ჯდება მეორე სავარძელში.

კაპო – მადლობთ.

ანუცა არ პასუხობს. კაპო წყალს ჩაცლის.

კაპო – გუშინ მეგობართან ვიყავი. დავლიეთ, დავთვერი. მერე მოვედი სახლში და დავიძინე. გამეღვიძა, ტულეტში მინდოდა და ისევ დაწოლას ვაპირებდი, მაგრამ... ოთახები იგივეა, უბრალოდ ნივთები და ავეჯია სხვა და თქვენ... ვერ ხვდები რა ხდება... თითქოს რაღაც სხვა განზომილებაში მოვხვდი...? ბატონი ზაზა – პახმელია საკმაოდ რთული ანზომილებაა. ?

ანუცა (ოდნავ დამცინავი ხმით) – იქნებ დროში მოგზაურობ? რომელი წელი იყო რომ გაიღვიძე?

კაპო ჯერ ეჭვის თვალით შეხედავს, ბოლოს მაინც პასუხობს.

კაპო – 2007.

ანუცა – აჰა, ხო გითხარი. ახლა კიდე 2027-ია.

კაპო – რაა??

ანუცა – ორი-ათას-ოცდა-შვიდი (უმარცვლის), როგორც ჩანს ოცი წელი ტულეტში იყავი და ამასობაში აქ რაღაცეები შეიცვალა.

გაოცებული კაპო მიაშტერდება. ანუცა თავს ველარ იკავებს და ხმამაღლა იცინის. ბატონი ზაზაც იცინის.

ბატონი ზაზა – არავითარი დროში მოგზაურობა, ახლა ნამდვილად 2007 წელია.

კაპო ბრაზდება.

კაპო – ჯერ თავი გამიტეხა კინალამ, თან მეკაიფება?!

ბატონი ზაზა – კარგი, გეყოფა.

აჩერებს ანუცას, რომელიც ისევ იცინის.

ბატონი ზაზა – აქ აშკარად რაღაც ძალიან უცნაური და საინტერესო ხდება.

კაპო (ბუტყუნებს) – ხო, ძალიან საინტერესოა. თავი მისკდება, მეძინება და

ვერ გავიგე სად ვარ.

ბატონი ზაზა – დავუშვით მართლაც ისე მოხდა ყველაფერი როგორ შენ ამბობ. მაშინ გამოდის, რომ თუ ახლა ტულაეტში შეხვალ, წესით უკან, ისევ შენს სახლში უნდა დაბრუნდე. ასეა?

კაპო – არ ვიცი.

ბატონი ზაზა – ვცადოთ?

ანუცა – მამა, შენც გაგიჟდი?

ბატონი ზაზა – სხვა რა გზაა.

კაპო დგება და ტულაეტისკენ მიდის. ანუცა და ზაზა მიყვებიან. კაპო კარს აღებს და შედის.

ანუცა (ისევ დამცინავად) – აბა, ნახვამდის.

კაპო კარს მიიჯახუნებს. აქაც ყველაფერი ეუცხოვება. წყალს მოუშვებს, სახეზე შეისხამს. ხელებს იმშრალებს, მერე კარის წინ დგება, ღრმად ჩაისუნქავს ჰაერს და კარს აღებს.

ანუცა და ზაზა ისევ იქ არიან.

ანუცა – ხომ ვთქვი გიჟია-მეთქი.

იმედგაცრუებული კაპო ჩუმადაა.

ბატონი ზაზა – არ გაამართლა. მოდი ოთახში დავბრუნდეთ და სხვა რამე

მოვიფიქროთ.

ბრუნდებიან.

კაპოს საწყალი გამომეტყველება აქვს.

კაპო – რამე ტანსაცმელს მაინც ვერ მათხოვებთ?

ამ დროს შემოსასვლელიდან ისმის ზარის ხმა. კაპო ინსტიქტურად იქით გაიწევის.

ანუცა – გავადებ. არამგონია შენთან მოსულიყო ვინმე.

ბატონი ზაზა – ჩემი ცოლი მოვიდა ალბათ. წამოდი ჩაგაცმევ რამეს.

ანუცა შემოსასვლელში გადის და კარს აღებს. შემოდის ირინა და ლუკი. ლუკის მილანის სპორტული ფორმა აცვია, მხარზე ჩანთა აქვს გადაკიდებული, ხელში ბურთი უჭირავს. ირინას ორი პარკი უჭირავს, რომლებშიც პური და სხვა პროდუქტები აწყვია. ლუკი ბურთს იქვე მიაგდებს და სასტუმრო ოთახისკენ გარბის.

ირინა – გუშინ რომელზე მობრძანდი შენ ქალბატონო?

მკაცრი ტონით ეკითხება ანუცას და სამზარეულოსკენ მიდის. ანუცა მიყვება. ირინა სამზარეულოს მაგიდაზე დებს პარკებს და ამოლაგებას იწყებს.

ირინა – ბოლოს საათს რომ შევხედე ხუთი იყო უკვე დაწყებული, მერე ეტყობა ჩამემძინა. რომელზე მოხვედი? რაღაც ძალიან აიშვი შენ ხო იცი, ზედმეტი ნუ მოგივა.

ანუცა აწურული დგას. სასტუმრო ოთახი.

ბატონი ზაზა – რა ქენი მამი, ივარჯიშე?

ზაზა ლუკის თმებს უჩეჩავს.

ლუკი – კი, დღეს თავდასხმაში დამაყენეს და ორი გოლი გავიტანე.

ბატონი ზაზა – კაპო, გაიცანი, ეს ლუკია, ჩემი ვაჟკაცი. ფეხბურთელია მომავალი.

კაპო ლუკის ხელს ართმევს. კაპოს ბატონი ზაზას გახუნებული შორტი და საროჩკა აცვია, რომელიც საკმაოდ დიდი აქვს და ცოტა სასაცილოდ გამოიყურება.

კაპო – მილანი გიყვარს? (მაისურზე მიუთითებს) მეც მაგათ ვბალებშივობ.

ლუკი თავს უქნევს.

ლუკი – რო გავიზრდები მილანში უნდა ვითამაშო.

კაპო – ხოო? კალამესავით?

ლუკი – ვისავით?..

სამზარეულო.

ირინა – ისედაც საეჭვოდ დაბოდილობ აქეთ-იქეთ, შენი დილამდე სახლში არ მოსვლესილა მკლდა კიდე.

ანუცა – კაი რა, დედა, ყოველდღე ხო არ დავდივარ. უბრალოდ გუშინ ხო იცი ყველა დაქალები წავედით ერთად და...

ირინა – რაღაცეებს რომ აღარ გიკრძალავთ ეს არ ნიშნავს, რომ ყველაფრის უფლება გაქვს. გათხოვდები და მერე რაც გინდა ის გიქნია.

ამ დროს სასტუმრო ოთახიდან ბატონი ზაზას ხმა ისმის.

ბატონი ზაზა – ირინაა.

ირინა – ბატონო.

ბატონი ზაზა – სად ხარ?

ირინა – მოვდივარ, მაცადე. ლუკი შენ შედი იბანავე, ოფლიანი ხარ.

ლუკი – ხო, შევალ.

ირინა სასტუმრო ოთახში გადის, ანუცაც მიყვება.

ბატონი ზაზა – ირინა, სტუმარი გვყავს.

კაპო – გამარჯობათ.

ირინა – გამარჯობა.

ბატონი ზაზა – ეს კაპოა.

ირინა ეჭვის თვალით უყურებს დაბნეულ კაპოს და მის ჩაცმულობას.

ირინა – შენი საროქვა რატომ აცვია?

ბატონი ზაზა – იცი რა უცნაური ამბავი მოხდა? მოგიყვები. ანუცას ოთახის წინ ეგდო, ტრუსების გარდა არაფერი ეცვა.

ირინას სწრაფად გადააქვს მკაცრი მზერა ანუცაზე.

ირინა – ვინ არის ეს ბიჭი?

ანუცა – მე რავიცი.

ირინა – არ იცი ხო? შე თავხედო, ეს როგორ გაბედე?!

ირინა ყვირილზე გადადის.

ანუცა – რა??

ირინა – ღამე სახლში ბიჭის მოყვანა როგორ გაბედე?!!

სილას აწნის.

ირინა – ამას როგორ წარმოვიდგენდი?! ვაიმე.

ანუცა – მე არ მომიყვანია!

ირინა – აბა მე მოვიყვანე?! ვაიმე, ზაზა გესმის?! ხედავ ამის სითავხედეს? ბიჭთან ატარებს ღამეს და თან სახლში მოყავს!!

კაპო – არა, არა, რაღაც გეშლებათ.

ირინა – შენ ვინ ხარ საერთოდ?! ზაზა რას გაჩუმებულხარ?! ეს რას მოვესწარი, გავგიჟდები!

ბატონი ზაზა – დაწყნარდი, რაღაც ვერ გაიგე შენ. ჯერ მომაცოლე.

ირინა – ყველაფერი მშვენივრად გავიგე!

ბატონი ზაზა – კაპო შემთხვევით აღმოჩნდა ჩვენთან, ტუალეტიდან გამოვიდა და...

ირინა – რას ბოდავ?!

ანუცა – ხო, ეგრე იყო.

ირინა – ხმა! რა ზღაპრებს მიყვებით? შენც გაგასულელეს ხო? (ზაზას) უნდა დაგელაპარაკო, გავგიჟდები. შენ კიდე (ანუკას) სასწრაფოდ გააქრე ეს აქედან (კაპოზე მიუთითებს) და შენს ოთახში დამელოდე! გასაგებია?!

ირინა გვერდით ოთახში გარბის. ბატონი ზაზა მიყვება.

კაპო – ნუ გეშინია, მე ავუხსნი რომ ეგეთი არაფერი არ ყოფილა.

ანუცა – შენ არ იცი დედაჩემი როგორია. ვერ გადაარწმუნებ.

კაპო – დაველაპარაკები.

ანუცა – არც მოგისმენს.

ლუკი ტელევიზორის წინ ჯდება, რთავს, არხების თვალიერების იწყებს, ბოლოს რაღაც ფილმზე ჩერდება და უყურებს.

კაპო ამოიოხრებს.

ანუცა – ისე შენ მართლა საიდან გაჩნდი აქ?

კაპო – რამდენჯერ უნდა მოვყვე?

ანუცა – დედაჩემი რომ გავიდა კარი ღია იყო და მაშინ ხომ არ შემოხვედი? იქნებ სახლი აგერია.

კაპო უარის ნიშნად თავს აქნევს.

გვერდით ოთახი.

ირინა – შენ როგორ დაიჯერე ეგეთი ბოღვა?

ბატონი ზაზა – რავიცი, საეჭვო კი იყო, მაგრამ ისე დამაჯერებლად იქცეოდნენ ორივე...

ირინა – რა ვქნათ ახლა?! ამას როგორ წარმოვიდგენდი? ვინღა მოიყვანს ცოლად!

ოთარ ქათამაძე

დაარქვი რაც გინდა

მიტოვებული ცირკის არენა. შუაში დევს დიდი ჩემოდანი, რომელიც ნელ-ნელა შიგნიდან ნათდება და იკვეთება ემბრიონის ფორმის ორი მამაკაცის სხეული. რომლებიც ნელ-ნელა იწყებენ მოძრაობას. ჯერ ჩნდება ტრიოს თავი.

ტრიო- (ხმადაბლა. თითქოს ვიღაცას უხმობს) ჰოუ...

ზალპე- (ჩემოდნიდან) არა. სიუ.

ტრიო- ჰალოოოოო....

ზალპე- ჩანს ვინმე?

ტრიო- არა.

ზალპე- (ჩემოდნიდან) ბონჯორნო!

ტრიო- არავინაა!

ზალპე- დაველოდოთ.